IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

სამაგისტრო სწავლების დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 23/08/2016წ. - გადაწყვეტილება №7 (დანართი №:6)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული და მიღებულია
ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა:	სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა	_____
შეამოწმა:	ხარისხის მართვის კომისია	_____
დაამტკიცა:	აკადემიური საბჭო	_____

დოკუმენტის No: IBSU.R4	ვერსია: 2.00
	განახლების თარიღი: 13/06/2022
	დამტკიცების თარიღი: 23/08/2016
შეუმოწმებელი ვერსია ☐ შემოწმებული ვერსია ☑	

შზსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.
წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო განახლების ნომერი.
ცვლილების შეტანის სურვილის შემთხვევაში, ხარისხის მართვის საბჭოს წარუდგინეთ დოკუმენტის ცვლილების მოთხოვნის ფორმა.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები 3
ცვლილებების ნუსხა 4
მუხლი 1. საგანი და მოქმედების ფარგლები 6
მუხლი 2. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება 6
მუხლი 3. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა 6
მუხლი 4. სწავლების ენა 10
მუხლი 5. სწავლების ხანგრძლივობა 10
მუხლი 6. რეგისტრაცია 10
მუხლი 7. შეფასება 10
მუხლი 8. დისციპლინარული წესები 10
მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის რეგისტრაცია 11
მუხლი 10. ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა 11
მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მახასიათებლები 12
მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლები 12
მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება 13
მუხლი 14. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა 15
მუხლი 15. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი 16
მუხლი 15[1]. თანახელმძღვანელი 18
მუხლი 15[2]. რეცენზენტი 18
მუხლი 16. კომისია 20
მუხლი 17. კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ფუნქციები 20
მუხლი 18. დაცვის პროცედურა 21
მუხლი 19. კვალიფიკაციის მინიჭება 21
მუხლი 20. დასკვნითი დებულებები 22
მუხლი 21. ძალაში შესვლა 22
მუხლი 22. ზედამხედველობა 22

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1	აკადემიური საბჭო	02	25.01.2017
2	აკადემიური საბჭო	9	22.08.2017
3	აკადემიური საბჭო	16	18.01.2018
4	აკადემიური საბჭო	02	23.01.2019
5	აკადემიური საბჭო	06	07.05.2019
6	აკადემიური საბჭო	07	15.05.2019
7	აკადემიური საბჭო	12	20.08.2019
8	აკადემიური საბჭო	4	24.02.2020
9	აკადემიური საბჭო	14	26.08.2020
10	მმართველი საბჭო[1]	3	15.11.2021
11	მმართველი საბჭო	9	07.02.2022
12	მმართველი საბჭო	23	13.06.2022

თავდაპირველი რედაქცია: 23.08.2016

[1] რექტორის 2021 წლის 01 ნოემბრის ბრძანებით მმართველ საბჭოს მიენიჭა წინამდებარე დოკუმენტში ცვლილების შეტანის უფლებამოსილება.

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
1	25.01.2017	9	სამაგისტრო ნაშრომის პარალელურად არჩევით სასწავლო კომპონენტზე რეგისტრაციის შესაძლებლობა
2	25.01.2017	18	საჯარო დაცვაზე არჩევითი სასწავლო კომპონენტის ჩაუბარებლად გასვლის შეზღუდვა
3	22.08.2017	12	სამაგისტრო ნაშრომის მომზადების აღწერილობა
4	18.01.2018	16	კომისიის შემადგენლობა
5	23.01.2019	13	სამაგისტრო ნაშრომის შეფასება
6	07.05.2019	2	სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და განვითარება
7	07.05.2019	5	სწავლების ხანგრძლივობა
8	07.05.2019	10	ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა
9	07.05.2019	11	სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მახასიათებლები
10	07.05.2019	14	სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა
11	07.05.2019	15	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
12	07.05.2019	15[1]	თანახელმძღვანელი
13	07.05.2019	16	კომისია
14	07.05.2019	17	კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ფუნქციები
15	15.05.2019	2	სამაგისტრო პროგრამის შემუშავება, განხორციელება და განვითარება
16	15.05.2019	19	კვალიფიკაციის მინიჭება

17	20.08.2019	2	სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება
18	20.08.2019	3	სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა
19	20.08.2019	6	რეგისტრაცია
20	20.08.2019	9	სამაგისტრო ნაშრომის რეგისტრაცია
21	20.08.2019	10	ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა
22	20.08.2019	12	სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლები
23	20.08.2019	13	სამაგისტრო ნაშრომის შეფასება
24	20.08.2019	14	სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა
25	20.08.2019	16	კომისია
26	20.08.2019	18	დაცვის პროცედურა
27	20.08.2019	19	კვალიფიკაციის მინიჭება
28	20.08.2019	22	ზედამხედველობა
29	24.02.2020	3	სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა
30	26.08.2020	15	რეცენზენტი
31	15.11.2021	2	სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება
32	15.11.2021	3	სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა
33	15.11.2021	20	დასკვნითი დებულებები
34	07.02.2022	3	სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა
35	13.06.2022	10	ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა

მუხლი 1. საგანი და მოქმედების ფარგლები

1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს შპს ,,შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში ,,შზსუ“) სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვასთან, სასწავლო პროცესის წარმართვასთან, შეფასებასთან და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1.2. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

1.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს.

მუხლი 2. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება

2.1. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება ხორციელდება ინიციატორის მიერ (უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი), რომელიც პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, ხდება პროგრამის ხელმძღვანელი.

2.2. სამაგისტრო პროგრამის გახსნისათვის საჭიროა პროგრამაზე სულ მცირე 5 სტუდენტის არსებობა. გამონაკლისი შემთხვევა განისაზღვრება სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით. სამაგისტრო პროგრამის მმართველ საბჭოზე დამტკიცების შემდგომ, შზსუ-ს მიერ პროგრამის დამატება ხორციელდება ავტორიზაციის ან ავტორიზაციის წლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ან აკრედიტაციის გზით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით
ცვლილება შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის #3 გადაწყვეტილებით

2.3. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოწესრიგებულია ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციით” (R36.I02).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მაისის #6 გადაწყვეტილებით
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 მაისის #7 გადაწყვეტილებით

მუხლი 3. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა

3.1. განმცხადებელი (R03F35) უფლებამოსილია ჩაირიცხოს შზსუ-ს სამაგისტრო

პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო
გამოცდების ჩაბარებისა (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში
საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე) და შზსუ-ს გამოცდ(ებ)ის ჩაბარების გზით (უცხო ენა & სპეციალობა). შზსუ-სა და მაგისტრატობის კანდიდატს შორის ფორმდება ხელშეკრულება (R01F30) და გამოიცემა რექტორის ერთიანი აქტი სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ.

3.1.1. ჩარიცხვის წესი საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე:

3.1.1.1. საქართველოს მოქალაქე, რომელიც წარმოადგენს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს, წარმატებით ჩააბარებს ერთიან სამაგისტრო გამოცდებს და სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ შზსუ-ს გამოცდ(ებ)ს (უცხო ენა & სპეციალობა) მოპოვებს შზსუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

3.1.1.2. კანდიდატი, რომლესაც შზსუ-ში ბოლო 3 წლის განმავლობაში აქვს მოპოვებული ბაკალავრის ხარისხი, სამაგისტრო საფეხურზე ირიცხება მხოლოდ ინტერვიუს შედეგების საფუძველზე თუ ორივე საფეხურის (საბაკალავრო და სამაგისტრო) პროგრამის სწავლების ენა და სწავლის სფერო არის იდენტური.

3.1.1.3. თუ სწავლების ენა საბაკალავრო საფეხურზე იყო განსხვავებული, კანდიდატმა უნდა დაადასტუროს მისი ენობრივი კომპეტენცია შზსუ-ს მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის ჩაბარებით ან 3.1.3 პუნქტით დადგენილი წესით.

3.1.1.4. ინტერვიუს შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება R04F14 - ის სახით.

ცვლილება შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 07 თებერვლის #9 გადაწყვეტილებით

3.1.2. ჩარიცხვის წესი საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე:

3.1.2.1. შზსუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე, საერთო გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩაირიცხება პირი, რომელიც ჩააბარებს შზსუ-ს გამოცდ(ებ)ს (უცხო ენა & სპეციალობა) და დააკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.1.3. ორივე კატეგორიის განმცხადებლები:

3.1.3.1. განმცხადებლები, რომელებსაც აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (R03L05) თავისუფლდებიან უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან.

3.1.3.2. უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი თუ მას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან).

3.1.3.3. განმცხადებელი, რომელსაც არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული უცხო ენა, თავისუფლდება უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან.

3.2. პროგრამაზე მისაღები გამოცდების ორგანიზებას ახორციელებს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

3.2.1. საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფი კანდიდატებისათვის, სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოც(ებ)ის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ რეჟიმში.

3.3. გამოცდ(ებ)ი სპეციალობაში ტარდება პროგრამის განხორციელების ენაზე.

3.4. სამაგისტრო პროგრამებზე რეგისტრაციის პერიოდში სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა განსაზღვრავს წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას. აღნიშნულ ნუსხას საქართველოს მოქალაქეებისათვის აქვეყნებს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა, ხოლო საერთაშორისო სტუდენტებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

3.5. განცხადებას, როგორც წესი, თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

3.5.1. 2 ფოტო(3X4) (ამობეჭდილი და ელექტრონული ფორმით). ფოტო ელექტრონული ფორმით ეგზავნება სამაგისტრო და სადოქტორო სკოლას, თუ განაცხადი არ კეთდება ელექტრონული სისტემით;

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

3.5.2. CV;

3.5.3. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (უცხო ენაზე გაცემული დიპლომის შემთხვევაში - სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი) - შზსუ-ის მიერ გაცემული დიპლომის შემთხვევაში ასლის სანოტარო წესით დამოწმება არ არის სავალდებულო;

3.5.3[1]. განმცხადებლის მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პერიოდში არანაკლებ ხუთწლიანი პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომის წარმოდგენის შემთხვევაში, კანდიდატმა ასევე უნდა წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დიპლომის შესაბამის საფეხურთან გათანაბრება.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის #4 გადაწყვეტილებით

3.5.4. საიდენტიფიკაციო ბარათის/ პასპორტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის - სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);

3.5.5. უცხო ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი / უცხოენოვანი პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი-დიპლომი და დანართი.

3.5.6. კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.5.7. საერთაშორისო სტუდენტებისათვის R03F60-ით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

3.6. თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების ჩარიცხვის პერიოდი დაემთხვევა სემესტრის მე-5 ან შემდგომ კვირებს, მათი ჩარიცხვა მოხდება მომდევნო სემესტრიდან.

ცვლილება შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის #3 გადაწყვეტილებით

მუხლი 4. სწავლების ენა

4.1. სამაგისტრო პროგრამებზე სწავლების ენა არის ქართული, ინგლისური, თურქული. (იხილეთ EXT_002).

მუხლი 5. სწავლების ხანგრძლივობა

5.1. სწავლების ხანგრძლივობა სამაგისტრო პროგრამაზე არის 4 სემესტრი.

5.2. ის სტუდენტები, რომლებიც ვერ დაამთავრებენ სამაგისტრო პროგრამას 4 სემესტრში, უფლებამოსილნი არიან გააგრძელონ სწავლა თვითდაფინანსების გზით ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ - R3 და ,,ფინანსური დებულების “ - R9 მოთხოვნების შესაბამისად.

5.3. მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისათვის ეძლევა 15 კალენდარული კვირა. აღნიშნული ვადის ათვლა იწყება სამაგისტრო ნაშრომის სათაურის და ხელმძღვანელის დამტკიცებიდან (R04F88). ნაშრომის სათაურის და/ან ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში, 15 კვირის ათვლა იწყება პირველი დამტკიცების თარიღიდან.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მაისის #6 გადაწყვეტილებით

მუხლი 6. რეგისტრაცია

6.1. სასწავლო და კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციის პროცესი ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის"– R3 მიერ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად ხორციელდება.

6.2. წინამდებარე დებულების მიზნებისათვის, (განსხვავებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (R3)-ის შესაბამისი პუნქტისა), კომპონენტის გახსნისათვის, სტუდენტების მინიმალური რაოდენობა არის 5. გამონაკლისი შესაძლებელია დადგინდეს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

მუხლი 7. შეფასება

7.1. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეფასებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი (გარდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა) განისაზღვრება ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ - R3 შესაბამისად.

მუხლი 8. დისციპლინარული წესები

8.1. დისციპლინარული საკითხები განისაზღვრება ,,სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესის“ - R7 შესაბამისად.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის რეგისტრაცია

9.1. სამაგისტრო ნაშრომზე დარეგისტრირების უფლება აქვს სტუდენტს, თუ მას ჩაბარებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი.

9.2. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად, სტუდენტი უფლებამოსილია დარეგისტრირებული იყოს 1 (ერთი) არჩევით სასწავლო კომპონენტზე, რომელიც შინაარსობრივად არ არის დაკავშირებული მის მიერ არჩეულ სამაგისტრო თემასთან.

9.3. შინაარსობრივი კავშირის არარსებობის ფაქტი დასტურდება სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის #3 გადაწყვეტილებით
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

მუხლი 10. ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა

10.1. ნაშრომის სათაური და ნაშრომის ხელმძღვანელის ვინაობა მტკიცდება სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოს მიერ, სემესტრის დასაწყისში. ნაშრომის სათაურის შეცვლა შესაძლებელია სამაგისტრო და სადოქტორო სკოლისთვის მის ჩაბარებამდე ერთი თვით ადრე. სათაურის შეცვლის შემთხვევაში, ხელახალი დამტკიცება ხდება ამ მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

10.2. აუცილებლობის შემთხვევაში, სტუდენტის ან სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოს ინიციატივით, თანახელმძღვანელის არჩევა ხდება ხელმძღვანელთან ერთად ან ნაშრომის დამტკიცებიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

10.3. ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება შემდეგი პროცედურების შესაბამისად:

10.3.1. წინა სემესტრის დასრულებამდე, პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით, ამზადებს მიმართულების/დარგის/ზოგადი სათაურებისა და შესაბამისი შესაძლო ხელმძღვანელების სიას;

ცვლილება შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 13 ივნისის #23 გადაწყვეტილებით

10.3.2. სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული სიის ხელმისაწვდომობას მაგისტრატურის სტუდენტებისათვის;

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

10.3.3. სტუდენტი (ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად) იღებს გადაწყვეტილებას და სამაგისტრო და სადოქტორო სკოლას მიმართავს განცხადებით ხელმძღვანელისა და ნაშრომის სათაურის არჩევის შესახებ. განცხადებას ხელს აწერს სტუდენტი და ხელმძღვანელი, ხოლო თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი, ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი;

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

10.3.4. პროგრამის ხელმძღვანელს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის მიერ წარედგინება სტუდენტების მიერ არჩეული ნაშრომის სავარაუდო სათაურებისა და შესაბამისი ხელმძღვანელების სავარაუდო სია;

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

10.3.5. პროგრამის ხელმძღვანელი აფასებს ზემოაღნიშნულ სიას;

10.3.6. ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მტკიცდება სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოზე.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მაისის #6 გადაწყვეტილებით
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მახასიათებლები

11.1. სამაგისტრო ნაშრომი არის სამეცნიერო კვლევის შედეგი, რომელიც ხორციელდება ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მაისის #6 გადაწყვეტილებით

11.2. სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

11.2.1. მიმართული უნდა იყოს სფეროს შესაბამისი საკითხის გარშემო;

11.2.2. სტუდენტმა უნდა წარმოაჩინოს საკითხის პრაქტიკული და თეორიული შედეგები.

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლები

12.1. ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სრულდება ქართულ ენაზე (მაქსიმუმ 1 გვერდიანი რეზიუმე ინგლისურ ენაზე), ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება ინგლისურ ენაზე (მაქსიმუმ 1 გვერდიანი რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე), თურქულენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სრულდება თურქულ ენაზე (მაქსიმუმ 1 გვერდიანი რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე).

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

12.2. სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მოთხოვნებია: მოცულობა - 60-70 გვ., შრიფტი - Sylfaen (ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომისათვის) / Times New Roman (ინგლისურ და თურქულ ენებზე შესრულებული ნაშრომისათვის), შრიფტის ზომა – 12 , სტრიქონებს შორის დაშორება – 1.5, მარცხენა მინდორი – 3 სმ., მარჯვენა მინდორი 1.5 სმ., ზედა და ქვედა მინდვრები - 2.5 სმ.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

12.3. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების დეტალური აღწერილობა განსაზღვრულია - ,,სამაგისტრო ნაშრომისა და სადოქტორო სადისერტაციოს მომზადების გზამკვლევით“- R3.I11.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით

მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

13.1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

13.2. დასკვნითი შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ.

13.3. დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულა არის 100.

13.4. კომისიის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია R04F01-ით.

13.5. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შესაძლებელია 13.6 ან 13.9 პუნქტით დადგენილი სისტემით. შეფასების კონკრეტული სისტემა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამით.

13.6. საკრედიტო სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა.

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა.

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა.

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა.

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს რომ. სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

13.7. თუ მაგისტრანტი მიიღებს 41-50 ქულას (FX) მას უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

13.8. თუ მაგისტრანტი მიიღებს 40 ქულას ან ნაკლებს (F), იგი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

13.9. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემა:

ა) თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას:

ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;

ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მას მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

ბ) თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას - **არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ**

აკმაყოფილებს მასში წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მას აქვს უფლება გააუმჯობესოს და წარადგინოს ნაშრომი ხელახალ დაცვაზე მომდევნო სემესტრში.

გ) თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას - **სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone), შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს** - მას არ აქვს ამავე სამაგისტრო ნაშრომის ხელახლა დაცვის უფლება.

13.10. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს კომისიის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო, არანაკლებ 51 ქულისა. სტუდენტის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა საშუალება გააუმჯობესოს სამაგისტრო ნაშრომი და წარადგინოს დასაცავად მომდევნო სემესტრში, ხოლო კომისიის მიერ სტუდენტის 41-ზე ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას. ამასთან, კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების მიზნებისათვის, ფრიადი ნიშნავს შეფასების 91-100 ქულას, ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულას, კარგი - შეფასების 71-80 ქულას, საშუალო - შეფასების 61-70 ქულას, დამაკმაყოფილებელი - 51-60 ქულას, არადამაკმაყოფილებელი - შეფასების 41-50 ქულა, სრულიად არადამაკმაყოფილებელი - შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

13.11. თუ მაგისტრანტი არ გამოცხადდა საჯარო დაცვაზე საპატიო მიზეზის გამო, (საპატიო მიზეზის არსებობის ფაქტი დასტურდება სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოს მიერ), მაგისტრანტს იმავე სემესტრში ენიშნება საჯარო დაცვა.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

13.12. უარყოფითი შეფასების - "(F) ჩაიჭრა"/ სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone), შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს გარდა, სამაგისტრო ნაშრომი უარყოფითად იქნება შეფასებული თუ დადგინდა პლაგიატის ფაქტი ნებისმიერ ეტაპზე.

13.13. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #2

მუხლი 14. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

14.1. სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარადგინოს 15 კალენდარულ კვირაში. აღნიშნული პერიოდის ათვლა იწყება ნაშრომის სათაურისა და

ხელმძღვანელის პირველად დამტკიცების თარიღიდან (R03F88) მიუხედავად იმისა მოგვიანებით განხორციელდა თუ არა რაიმე ცვლილება ნაშრომის სათაურის/ ხელმძღვანელის მიმართ.

14.2. სტუდენტი სამაგისტრო და სადოქტორო სკოლას წარუდგენს განცხადებას ნაშრომის დასრულებისა და დაცვაზე დაშვების შესახებ. აღნიშნულ განცხადებას ხელს აწერს აგრეთვე ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელის არსეობიბს შეთხვევაში კი, ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. სტუდენტი ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას აგზავნის სამაგისტრო და სადოქტორო სკოლას ოფიციალურ ელ-ფოსტაზე.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მაისის #6 გადაწყვეტილებით
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

14.3. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა ამოწმებს ტექსტის დამთხვევას. თუ ტექსტის დამთხვევა აჭარბებს 10%-ს (მათ შორის დანართები), სტუდენტმა სამ დღეში უნდა აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

14.4. სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის მიერ ტექსტის დამთხვევის შემოწმების შემდეგ, სამაგისტრო და სადოქტორო სკოლას წარედგინება სამაგისტრო ნაშრომის ორი ეგზემპლარი (ხელმოწერილი სტუდენტის მიერ) მატერიალური ფორმით და ერთი ეგზემპლარი ელექტრონული ფორმით (CD დისკზე). სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა ნაშრომს, ტექსტის დამთხვევის პროცენტულ მაჩვენებელთან ერთად (მიუხედავად მაჩვენებლის რაოდენობისა), უგზავნის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს შესაფასებლად.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მაისის #6 გადაწყვეტილებით
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

მუხლი 15. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

15.1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლება აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც შესაბამის დარგში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 პუბლიკაცია.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მაისის #6 გადაწყვეტილებით

15.2. მაგისტრანტი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელმძღვანელის შეცვლა სამაგისტრო ნაშრომის სათაურის დამტკიცებიდან 1 თვის ვადაში.

15.3. ხელმძღვანელს სამაგისტრო ნაშრომი გადაეცემა დასრულებული სახით სტუდენტის მიერ. ხელმძღვანელს ეძლევა 10 კალენდარული დღე

ნაშრომის შესაფასებლად.

15.4. ხელმძღვანელი წერს დასკვნას. დასკვნაში ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ნაშრომის ფორმატს და სტილს, მის შესაბამისობას ,,საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის და სადოქტორო დისერტაციის მომზადების გზამკვლევთან“ –R3.I11.

15.5. ხელმძღვანელის დასკვნა უნდა მოიცავდეს რეკომენდაციას დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ.

15.6. ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, მაგისტრანტი დაცვაზე არ დაიშვება.

მუხლი 15¹. თანახელმძღვანელი

15¹.1. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი შესაძლებელია იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

15¹.2. სტუდენტს უფლება აქვს შეცვალოს მისი თანახელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ თანახელმძღვანელი დაინიშნა სემესტრის დასაწყისში.

15¹.3. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო ვერსია სტუდენტის მიერ წარედგინება თანახელმძღვანელს. მას ეძლევა ათი კალენდარული დღე შეფასების გასაკეთებლად.

15¹.4. თანახელმძღვანელი ნაშრომის შეფასებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაშრომის ფორმატსა და სტილს, მის შესაბამისობას წინამდებარე დებულებასთან და „სამაგისტრო ნაშრომისა და დისერტაციის მომზადების გზამკვლევთან“ (R3.I11).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მაისის #6 გადაწყვეტილებით

მუხლი 15². რეცენზენტი

15².1 ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მიერ (არსებობის შემთხვევაში) სამაგისტრო ნაშრომის დადებითად შეფასების შემდეგ, სკოლის მიერ ნაშრომი ელექტრონული ფორმით ეგზავნება რეცენზენტს.

15².2 რეცენზენტი შესაძლოა იყოს შიდა - შზსუ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალი ან გარე კადრი (ადგილობრივი ან საერთაშორისო). რეცენზენტის დანიშვნისას, პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო რეცენზენტის დანიშვნას.

15².3 რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი. შიდა რეცენზენტის შემთხვევაში, აკადემიური ხარისხი შესაძლოა ჰქონდეს შესაბამის დარგში ან სხვა დარგში, მაგრამ ეკავოს აკადემიური პოზიცია (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი) შესაბამის დარგში. გარე რეცენზენტი უნდა იყოს ლექტორი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან დასაქმებული კერძო ან სახელმწიფო სექტორში შესაბამისი მიმართულებით.

15².4 რეცენზენტს ნიშნავს სკოლის საბჭო პროგრამის ჯგუფის (შემდგომში, „ჯგუფი “) წარდგენის საფუძველზე.

15².5 ჯგუფი შედგება შზსუ-ს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აფილირებიული აკადემიური პერსონალისაგან. ჯგუფი თავისი წევრებისაგან ირჩევს თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით. ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება,

თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ჯგუფის ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება.

15^2.6 რეცენზენტის დანიშვნა ხდება შემდეგი პროცედურით:

15^2.6.1 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს პოტენციური რეცენზენტების რეზიუმეებს (სულ მცირე ერთი შიდა და ერთი გარე რეცენზენტი).

15^2.6.2 პროგრამის ხელმძღვანელი აფასებს წარმოდგენილ კანდიდატებს მათი კვალიფიკაციის მიხედვით. თუ პროგრამის ხელმძღვანელისათვის კანდიდატ(ებ)ის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისი (შესაბამისი დასაბუთებით), პროგრამის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, ჯგუფს განსახილველად წარუდგინოს სხვა კანდიდატურა/კანდიდატურები.

15^2.6.3 თუ პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად არის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, იგი წარუდგენს ჯგუფს კანდიდატურ(ებ)ს განსახილველად.

15^2.6.4 ხუთი სამუშაო დღის ვადაში ჯგუფი ირჩევს რეცენზენტობის კანდიდატურას პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სიიდან, ხოლო უახლოეს სხდომაზე აღნიშნულ კანდიდატურას რეცენზენტად ნიშნავს სკოლის საბჭო.

15^2.7 რეცენზენტის დანიშვნის შემდეგ, მის მიერ ნაშრომის შეფასების პროცესის კოორდინირებას ახდენს სკოლა.

15^2.8 რეცენზენტს ეძლევა ორი კვირა ნაშრომის შესაფასებლად. საერთაშორისო რეცენზენტის შემთხვევაში, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული ვადა შესაძლოა გაიზარდოს ოთხ კვირამდე.

15^2.9 რეცენზენტის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და/ან შენიშვნების საფუძველზე, მათი ნაშრომში ასახვის მიზნით, მაგისტრანტისათვის დამატებითი დროის მიცემის საკითხი განისაზღვრება ჯგუფის მიერ.

15^2.10 თუ რეცენზენტის შეფასება არის უარყოფითი ან მოითხოვს ნაშრომის არსებით ცვლილებას, სტუდენტი არ დაიშვება საჯარო დაცვაზე.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #14

მუხლი 16. კომისია

16.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის წინაშე. კომისიის წევრები ინიშნება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე (კომისიის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი). კომისიის ერთი წევრი შესაძლებელია არ იყოს შზსუ-ს აკადემიური პერსონალი.

16.2. კომისიის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. ამასთან, კომისიაში უნდა შედიოდეს შესაბამისი მიმართულები/სპეციალობის მინიმუმ სამი წარმომადგენელი. სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის წარმომადგენელი უფლებამოსილია დაესწროს დაცვას სათათბირო ხმის უფლებით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უფლებამოსილია დაესწროს დაცვას, მაგრამ არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მაისის #6 გადაწყვეტილებით
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

16.3. კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ხმათა უბრალო უმრავლესობით. კომისიის მდივანი არის სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის წარმომადგენელი, ხმის უფლების გარეშე.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 იანვრის #1 გადაწყვეტილებით
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

16.4. დაცვის ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე, მდივანი და ყველა დამსწრე წევრი.

16.5. ხელმოწერილი ოქმის შენახვას და დაარქივებას უზრუნველყოფს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

მუხლი 17. კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ფუნქციები

17.1. კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებია:

17.1.1. დაცვის პროცედურის წარმართვა;

17.1.2. კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო ქულის გამოყვანა.

17.2. კომისიის მდივნის ფუნქციებია:

17.2.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისათვის და დაცვის შემდგომ ყველა საჭირო პროცედურული და საორგანიზაციო მოქმედებების განხორციელება (მათ შორის იმ სტუდენტთა სიის მომზადება, რომლებმაც დაიცვეს სამაგისტრო ნაშრომი (სტუდენტთა სახელი,

გვარის, თემის სათაურის, პროგრამის, ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის, დაცვის თარიღისა და სხვა საკითხების მითითებით) და იმ სტუდენტთა სიის მომზადება, რომლებმაც ვერ დაიცვეს სამაგისტრო ნაშრომი, მიზეზისა და კომისიის შესაბამისი არგუმენტაციის მითითებით).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მაისის #6 გადაწყვეტილებით

17.2.2. კომისიის დასკვნის მომზადება ერთ ეგზემპლარად (R04F02) და ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენა.

მუხლი 18. დაცვის პროცედურა

18.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესის ორგანიზება (მათ შორის დროისა და ადგილის გამოცხადება) ხორციელდება სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის მიერ.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

18.2. დაცვას უნდა ესწრებოდეს კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვა გადაიდება არაუმეტეს 1 კვირის ვადით.

18.3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მიმდინარეობს ზეპირად და საჯაროდ, პროგრამის განხორციელების ენაზე.

18.4. პრეზენტაციისათვის გამოყოფილი დრო არ უნდა აჭარბებდეს 20 წუთს. სტუდენტის პრეზენტაციის შემდეგ კომისიის წევრები უფლებამოსილები არიან მაგისტრანტს დაუსვან შეკითხვები.

18.5. წინამდებარე დებულების 9.2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს საჯარო დაცვაზე, თუ მან ჩააბარა არჩევითი სასწავლო კომპონენტი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის #3 გადაწყვეტილებით

მუხლი 19. კვალიფიკაციის მინიჭება

19.1. მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და 120 კრედიტის შესრულების შემდეგ ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 მაისის #7 გადაწყვეტილებით

19.2. მინიჭებული მაგისტრის აკადემიური ხარისხი უქმდება თუ პლაგიატობის ფაქტი დადგინდა ნებისმიერ ეტაპზე.

19.3. გადაწყვეტილება მაგისტრის აკადემიური ხარისხის გაუქმების შესახებ მიიღება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოს წარდგინებით.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

20.1. საკითხები რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, წესრიგდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შპს- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა დებულებების შესაბამისად.

20.2. ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება დებულებაში შედის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.

ცვლილება შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 15 ნოემბრის #3 გადაწყვეტილებით

მუხლი 21. ძალაში შესვლა

21.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის 2016 წლის 01 სექტემბრიდან.

მუხლი 22. ზედამხედველობა

22.1. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის მიერ.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს #12 გადაწყვეტილებით

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შზსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შზსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

<u>**გამოსცა:**</u>

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

<u>www.ibsu.edu.ge</u>

contact@ibsu.edu.ge

IBSU